- ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი
- ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:
- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).
- ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება (გ) პუნქტის მოთხოვნა.
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით: (ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და (ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

აუცილებელია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდეს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმწიფო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე – ამ შემთხვევაში, საწარმომ უნდა:

შეწყვიტოს აქტივის აღიარება; და

ცალ-ცალკე აღიაროს ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც მას რჩება ან წარმოიშობა აქტივის გადაცემისას. გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულების გადანაწილება უნდა მოხდეს შენარჩუნებულ და გადაცემულ უფლებებს ან ვალდებულებებს შორის, გადაცემის თარიღისთვის განსაზღვრული მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. ახლად წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები უნდა შეფასდეს ამ თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით. ნებისმიერი განსხვავება მიღებულ ანაზღაურებასა და ამ პუნქტის მიხედვით აღიარებულ ღირებულებებსა და ასევე იმ

შპს "ჯეო-კოოპ"

თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tbilisi 0182, Georgia

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ღირებულებებს შორის, რომელთა აღიარებაც შეწყდა წინამდებარე პუნქტის შესაბამისად, უნდა აისახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გადაცემა განხორციელდა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა
საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეწყვიტოს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა არ დაიშვება.

მს ფასს მე-11 განყოფილება ეხება ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს და შესაფერისი მოცემული საწარმოსათვის. მე-12 განყოფილება, რომელიც ეხება სხვა, უფრო რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ოპერაციებს, საწარმოს პირობებში არ გამოიყენება.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

მოიჯარემ მინიმალური საიჯარო გადასახდელები უნდა გაანაწილოს დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოიჯარემ იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში ფინანსური ხარჯები თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა გაანაწილოს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ფინანსური იჯარის პირობით აღებულ აქტივს მოიჯარემ ცვეთა უნდა დაარიცხოს.

საოპერაციო იჯარის დროს მოიჯარემ საიჯარო გადასახდელები ხარჯად უნდა აღიაროს წრფივად მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

საწარმო ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;
- (ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

შპს "ჯეო-კოოპ"

თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

GEO-COOP LLC

2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tbilisi 0182, Georgia

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

საწარმო ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლ თანხას აღიარებს ხარჯად.

თანხა, რომელსაც საწარმო აღიარებს ანარიცხად, არის იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ვადახედავს ანარიცხებს და აკორექტირებს მათ, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ვალდებულება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად კლასიფიკაციასაკუთარ კაპიტალსა და ვალდებულებას შორის დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოსთვის, რადგან ის გავლენას ახდენს იმის განსაზღვრაზე წილები, დივიდენდები და ინსტრუმენტების ზარალი და შემოსულობები აღიარდება საკუთარ კაპიტალში (ე.ი. როგორც მისაკუთრება ან დამატება საკუთარ კაპიტალზე) თუ ჩაითვლება წლის მოგებაში. დაყოფა ასევე გავლენას მოახდენს ფინანსური მდგრადობისა (ლევერიჯი) და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებზე, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ვალის პირობებთან შესაბამისობაზე. იმ მხარეებისთვის გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღრიცხვა, რომლებიც მოქმედებენ როგორც მესაკუთრეები მოიცავს იმ პირობისა და სხვა მხარეებისთვის გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების სააღრიცხვო მიდგომას, რომლებიც მოქმედებენ როგორც წილობრივი ინსტრუმენტების ინვესტორები (ე.ი. როგორც საწარმოს მესაკუთრეები);

მაგალითად, აქციების ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებები, შენატანები სააქციო კაპიტალში, საწარმოს კუთვნილი წილობრივი ინსტრუმენტისა და დივიდენდების განმეორებითი შეძენა.

მსს ფასს სტანდარტში მესაკუთრეები განმარტებულია, როგორც წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებული ინსტრუმენტების მფლობელები. შესაბამისად, საწარმოს მესაკუთრე არის ნებისმიერი მხარე, რომელიც ფლობს საწარმოს ინსტრუმენტს, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს მესაკუთრეების მიერ სააქციო კაპიტალში შენატანს და სხვა მათთვის მისაკუთრებელ თანხებს (მაგ. გაუნაწილებელი მოგება).

საწარმოს საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნარჩენი წილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მოგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საწარმო ამონაგებად განიხილავს, ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოშობილი ამონაგების აღრიცხვისთვის, როგორიცაა: (ა) საქონლის გაყიდვა (რომელიც თვითონ საწარმოს მიერ არის წარმოებული გაყიდვის მიზნით, ან შეძენილია შემდგომი გაყიდვისთვის); (ბ) მომსახურების გაწევა; (გ) სამშენებლო ხელშეკრულებები, სადაც საწარმო არის შემსრულებელი/შენარდე; და (დ) სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთვნილი აქტივების გამოყენება, რასაც მოჰყვება საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა დივიდენდების, პროცენტების ან როიალტების სახით.

აღიარება

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და
- შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება.

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქციოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ

დანახარჯებს, როგორცაა თვითღირებულების ხარჯები, რომელშიც გაერთიანებულია საქონლის შესყიდვის, ტრანსპორტირების ხარჯები, და სხვა. ყველა ეს ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდით.

კონპანიის მნიშვნელოვანი კომპონენტია სადისტრიბუციო ხარჯი რომელიც დაკავშირებულია მის საოპერაციო საქმიანობასთან (სატრანსპორტო საშ. რემონტი, რეკლამა, საწვავი დააშ)

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმო უზრუნველყოფს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების ბუღალტრულ აღრიცხვას.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხების სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია:

(ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, რაც შესაბამისობაში მს ფასს მე-11 განყოფილების მოცემულობასთან - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“;

(ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელიც აღიარებულია მს ფასს მე 20 განყ-ის მოცემულობასთან „იჯარა“ - შესაბამისად; და

(გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივების გაუფასურება

აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა შეაფასოს, ხომ არ გაუფასურდა მარაგი. საწარმომ ამგვარი შეფასება უნდა განახორციელოს თითოეული სახის მარაგის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის,) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საწარმომ მარაგის (ან ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უნდა შეამციროს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს **პერიოდის ზარალში**.

მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმომ უნდა შეამციროს საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. საწარმომ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით, გადაფასების მოდელის შესაბამისად. გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი უნდა აისახოს როგორც გადაფასების შემცირება.

გაუფასურების ინდიკატორები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, ხოლო თუ არ არსებობს, აუცილებელი არ არის აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, საწარმომ უნდა განსაზღვროს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. ეს შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება მოითხოვს მისაღები ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირებას, ასევე იმის გამო, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული აქტივი დამოუკიდებლად არ

შპს "ჯეო-კოოპ"

თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tbilisi 0182, Georgia

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

წარმოქმნის ფულად სახსრებს. აქტივის ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები - დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები (შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოების გარდა), რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა შესაბამისი მომსახურება გასწია;

შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები - დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები (შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოების გარდა), რომელიც გადასახდელია შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ;

დაქირავებულ პირთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები - დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები (შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოებისა და შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოების გარდა), რომელთა მთლიანად გადახდის ვადა არ დგება იმ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა შესაბამისი მომსახურება გასწია; და

შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოები - გასამრჯელოები, რომელთა გადახდის ვალდებულება წარმოიშობა: საწარმოს გადაწყვეტილების შედეგად, დაქირავებულ პირს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს საპენსიო ასაკის მიღწევამდე; ან

დაქირავებული პირის გადაწყვეტილების შედეგად, ნებაყოფლობით შეწყვიტოს შრომითი საქმიანობა ზემოაღნიშნული გასამრჯელოების მიღების სანაცვლოდ.

საწარმომ დაქირავებულ პირთა ყველა სახის გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება, პირდაპირ დაქირავებულთათვის ან დაქირავებულთა გასამრჯელოს ფონდში შენატანების სახით უკვე გადახდილი ნებისმიერი თანხის გამოქვითვის შემდეგ, თუ გადახდილი თანხა აღემატება ვალდებულების მოცულობას, რომელიც წარმოიშვა საანგარიშგებო თარიღამდე გაწეული მომსახურებიდან, საწარმომ ნამეტი თანხა უნდა აღიაროს აქტივად იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევს წინასწარ გადახდა მომავალში გადასახდელი თანხების შემცირებას, ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას;

(ბ) როგორც ხარჯი, თუ წინამდებარე სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს, რომ დანახარჯი აისახოს აქტივის, მაგალითად მარაგის, ან ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაცია ისეთი ოპერაციაა, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულებში ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით. კერძოდ, ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოიშობა მაშინ, როდესაც:

- (ა) საწარმო ყიდულობს ან ყიდის საქონელსა და მომსახურებას, რომლის ფასი დადგენილია უცხოურ ვალუტაში;
- (ბ) საწარმო იღებს ან გასცემს სესხს, რომლის მისაღები ან გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში; ან
- (გ) საწარმო იძენს ან ყიდის აქტივებს, იღებს ან ფარავს ვალდებულებებს, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში.

საწარმო უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ უნდა გამოიყენოს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცემი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

- (ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაყავს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, გადაყავს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით; და

(გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით, უნდა განისაზღვროს რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. გრძელვადიანი აქტივები

	მიწის ნაკვეთები	შენიშნა ნაგებობები	დაუმთავრებელი შენიშვნა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა აგეუი და ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი მირითადი საშუალებები (კონტეინერები)	Total
ისტ.ღირებულება- 31 დეკ. 2021	357,959	2,154,260	-	346,041	1,759,250	370,402	449,554	5,437,466
აკუმულირებული ცვეთა	-	(472,731)	-	(197,172)	(881,742)	(210,428)	(283,521)	(2,045,594)
ნარჩენი ღირ. 31 დეკ. 2021	357,959	1,681,529	-	148,869	877,508	159,973	166,033	3,391,872
გადაფასების ნამეტი 2022	4,612,604	6,411,579	-	161,806	471,776		404,409	12,062,174
მიღება 2022	-		-	175,225	792,560	58,087	53,252	1,079,124
ცვეთა 2022	-	(84,047)	-	(39,590)	(276,056)	(17,941)	(34,957)	(452,591)
გ ა ს ვ ლა 2022			-		(38,939)			(38,939)
გადაფასების ზარალი/Elimination 2022	-	(587)	-	4,008	(250,366)	(6,659)	129,922	(123,682)
Carrying amount at 31 December 2022	4,970,563	8,008,474	-	450,317	1,576,484	193,460	718,660	15,917,958
ისტ ღირ 31 დეკ. 2022	4,970,563	8,565,251	-	687,079	2,734,282	421,830	1,037,137	18,416,143
აკუმულირებული ცვეთა	-	(556,778)	-	(236,762)	(1,157,797)	(228,370)	(318,477)	(2,498,185)
ნარჩენი 31 დეკ 2022	4,970,563	8,008,474	-	450,317	1,576,484	193,460	718,660	15,917,958
დამატება 2023	-							-
შეძენა 2023		3,602	388,752	257,123	610,458	24,286	349,635	1,633,855
ცვეთა 2023		(400,454)	-	(71,984)	(177,658)	(38,766)	(119,734)	(808,596)
გასვლა 2023					(127,192)			(127,192)
Appriced lose/Elimination 2023								-
ნარჩენი 31 დე კ 2023	4,970,563	7,611,622	388,752	635,457	1,882,093	178,980	948,561	16,616,026
ისტ ღირ, 31 December 2023	4,970,563	8,012,075	388,752	707,440	2,059,751	217,746	1,068,295	17,424,622

შპს ჯეო-კოოპ

თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tblisi 0182, Georgia

www.coopoliva.ge

geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აკუმულ ცვთა	-	(400,454)	-	(71,984)	(177,658)	(38,766)	(119,734)	(808,596)
ნარჩენი 31 დეკ 2023	4,970,563	7,611,622	388,752	635,457	1,882,093	178,980	948,561	16,616,026
შეძენები 2024	-	-	2,283,144	85,812	353,517	338,556	105,608	3,166,637
ცვთა 2024	-	(400,603)	-	(86,406)	(215,614)	(63,831)	(147,969)	(914,423)
გასვლა 2024	-	-	-	-	(28,941)	-	-	(28,941)
რეკლასიფიკაცია 2024	-	-	-	-	(60,581)	-	60,581	-
ნარჩენი 31 დეკ 2024	4,970,563	7,211,018	2,671,895	634,863	1,930,475	453,704	966,781	18,839,299

ბანკებთან გაფორმებული სასესხო კონტრაქტების საფუძველზე საწარმოს უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით:

კრედიტის გამცემი - სს ლიბერთი ბანკისაკრედიტო

ხაზი

0101.5094096.004 – 1,900,000 ლარი - 25.02.2023-27.02.2024 – 11,50 %

0101.5094096.003 – 600,000 ევრო - 25.02.2023-25.01.2024 – 4,5%

0101.5094096.005 – 600,000 აშშ დოლარი - 25.02.2023-27.02.2024 5,70%

კრედიტი

0101.5094096.001 – 335,000 ევრო - 28,04,2022-25,04,2025 – 4,5%

იპოთეკით დატვირთული ქონებასაკადასტრო
კოდები:

34.08.48.191

34.08.48.187

34.08.48.186

01.19.18.006.061

შენიშვნა 2. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება კომპანიაში დანერგილი და გამოყენებული საბუღალტრო პროგრამებს

კომპიუტერული
პროგრამები

Total

შპს "ჯეო-კოოპ"
თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2
www.coopoliva.ge
geo-coop@coopoliva.ge

GEO-COOP LLC
2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tblisi 0182, Georgia
www.coopoliva.ge
geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

		-
ღურებულება 31 დეკ 2022	8,268	8,268
ისტ ღირ 31 დეკ 2022	10,335	10,335
აკუმ ცვეთა	(2,067)	(2,067)
ნარჩენი ღირ 31 დეკ 2022	8,268	8,268
დამატება 2023	-	-
გასვლა 2023	-	-
ამორტიზაცია 2023	-	-
ელიმინირება+- 2023	-	-
ნ ა რ ღირ 31 დეკ 2023	8,268	8,268
ისტ ღირ 31 დეკ 2023	10,335	10,335
აკუმულ ცვეთა	(2,067)	(2,067)
ნარჩენი ღირებ 31 დეკ 2023	8,268	8,268
დამატება 2024	-	-
გასვლა 2024	-	-
ამორტიზაცია 2024	-	-
ელიმინირება+- 2024	-	-
ნარჩენი 31 დეკ. 2024	8,268	8,268

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3. ფული და ფულის ექვივალენტები

საწარმოს საცალო და ფიზიკურ პირებთან სავაჭრო ურთიერთობებისას სჭირდება ნაღდი ფულადი სახსრებით მუშაობა რაც განაპირობებს ნაღდი ფულის სალაროს არსებობას.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულადი ექვივალენტები (ნაღდი ფული)		
	33,439	28,606
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,108,094	1,221,540
	-	-
ჯამური ფულადი სახსრები	2,141,533	1,250,146

სალაროს ნაშთები

	2024	2023
სალარო თბილისი	33196.48	23979.12
სალარო სამტრედია	242.13	4926.48

ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტები

GEL	2024	2023
1 ლიბერთი ბანკი	1438040.98	667720.45
2 თიბისი ბანკი	448530.92	398330.47
3 საქართველოს ბანკი	121053.16	132884.84
4 პროკრედიტ ბანკი	31267.97	12361.03
5 ბაზის ბანკი	69201.21	10243.19
სულ GEL:	2108094.24	1221539.98

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 4. მინდინარე დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ინდივიდუალური კორპორატიული სხვა	8,126,078	7,633,616
გაუფასურება	(3,864,632)	(3,864,632)

სავაჭრო დებიტორების ანალიზი

	დებიტორები	31.12.2024	31.12.2023
1	ქსელური მაღაზიებიდან დებიტორები	3689988	3378777
2	ბაზრობის საბითუმო სავაჭრო ქსელების და სხვა დებიტორები	2387727	2646219
3	HOREKA	2048363	1608620
	ჯამი	8 126 078	7 633 616

შენიშვნა 5. წინასწარ გაწეული ხარჯები

მომწოდებლებზე საქონლის მიღებამდე გაწეული ანაზრაურება. ძირითადად არაზიდენტებზე. მუდმივი პროცესია.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წინასწარ გადახდილი ხარჯი	1,039,150	842,759
ჯამი	1,039,150	842,759

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების გაუფასურების ტესტირებასთან დაკავშირებით მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება მარაგების მაღალი ბრუნვადობის და მარყის გამო არ არსებობს ეჭვი იმისა, (წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით), რომ სასაქონლო ნაშთებზე რიცხული მარაგების თვითღირებულებამ გადააჭარბოს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ საბაზრო ფასს.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სამშენებლო მასალები		
საქონელი	9,728,513	6,752,606
საქონელი გზაში	4,431,205	2,522,118
სხვა საქონელი	11,457	10,209
ჯამი საქონლის/ მარაგების	14,171,175	9,284,933 9,284,933

იშვნა 7. გრძელვადიანი სესხები

	2024	2023
გრძელვადიანი სესხი	3,209,393	2,072,533
ჰამაიაკი არსენიან დამფუძ	1 736 953	1 955 063

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ლიბერთი ბანკი	1 472 440	117 470
---------------	-----------	---------

შენიშვნა 8. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. საწარმოში დაკავშირებულ მხარედ ითვლება დამფუძნებელი და ამავე დროს გენერალური დირექტორი ჰამაიაკ არსენისანი დაკავშირებული ოპერაციები ძირითადად მოიცავს სასესხო ვალდებულებებთან არსებულ საკომტრაქტო ურთიერთობებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები არის შემდეგი:

		31.12.2024	31.12.2023
1	უშუალო დამფუძნებლისგან ნასესხები გრძელვადიანი თანხები ლარში შეფასებული წარდგენისთარიღისთვის	1,736,953	1,955,063
2	უშუალო დამფუძნებელზე გადასახდელი (დარიცხული) პროცენტი ლარში შეფასებული წარდგენის თარიღისთვის	239,819	2,446,745

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით შემოსავლების და ხარჯების მუხლები გახლდათ შემდეგი:

		31.12.2024	31.12.2023
1	დამფუძნებელზე დარიცხული პროცენტი	228 564	288 531
2	დამფუძნებელზე გადახდილი პროცენტი	2 462 567	2 070 191

შენიშვნა 9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სესხი	6,205,842	4,272,407
დამფუძნებლებთან:	239 819	2 446 745
ბანკთან:	5 966 023	1 825 662

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო	3,019,375	1,759,505
ვალდებულებები		
სხვა	3,019,375	1,759,505

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია საქონლის მოწოდებასთან, და ძირითადად შეადგენს არარეზიდენტ მომწოდებლებთან დავალიანებას. მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულება, ძირითადად მარკეტინგულ მომსახურებიდან წარმოშობილი დავალიანებებია.

შენიშვნა 11 საგადასახადო

ვალდებულებები:

	31 12 2024	31 12 2023
საგადასახადო ვალდებულება	(43,024)	(568,492)
დავალიანების ძირითადი ნაწილს შეადგენს დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც იფარება მომდევნო წლის 15 იანვარს.		

შენიშვნა 12. კაპიტალი

საწარმოსაწესდებო კაპიტალი მიმდინარე წელს უცვლელია, ცვლილება მთლიანი კაპიტალის ცვლილება გამოწვეულია მომდინარე პერიოდის შედეგებით.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საწესდებო კაპიტალი	3,000,200	3,000,200
დაგროვილი მოგება/ზარალი	12,920,862	8,035,805
გადაფასების რეზერვი	12,062,174	12,062,174

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სულ კაპიტალი	27,983,236	23,098,179
--------------	------------	------------

შენიშვნა 13. საწარმოს შედეგები

ბოლო ორი წლის მანძილზე კომპანიის შედეგები დადებითია კერძოდ 2024 წლის მოგებამ (დასაბეგრი მოგება) შეადგინა 4,885,056 ხოლო 2023 წლის მოგება 5,394,105 ლარი.

შენიშვნა 13. შემოსავალი

კომპანიის საოპერაციო საქმიანობით მიღებული შემოსავლები სასაქონლო მარაგების სადისტრიბუციო რეალიზაციდან

	2024	2023
საოპერაციო შემოსავლები	54,777,744	53,338,719
სხვა აქტივების რეალიზაცია		81824

ჯამი Revenue

54,777,744	53,420,543
------------	------------

შენიშვნა 14. საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საქონლის თვითღირებულება	40,733,569	39,322,972
სასაქ.-მატერიალური მარაგის კორექტირება	172,398	88,662

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ჯამი

40,905,967

39,411,634

შენიშვნა 15. სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
ავტომობილის რემონტის ხარჯები	(356,726)	(377,844)
ავტომობილის სხვა ხარჯები	-	-
სხვადასხვა	(179,686)	(310,798)
რეკლამის	(2,415,988)	(2,272,531)
ტრანსპორტირების ხარჯი	(10,637)	(100,075)
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
ტენდერები		
მივლინების ხარჯები (საერთო ადმინისტრ.)	(27,919)	(34,817)
საწვავის ხარჯები	(389,726)	(302,733)
სხვა სადისტრიბუციო	-	-
Total	(3,380,683)	(3,398,798)

შენიშვნა 16. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯები (ფიქსირებული)	(3,063,408)	(2,601,694)
საკანცელარიო	(6,877)	(7,346)
კომუნიკაციის ხარჯები	(53,798)	(56,153)
კომუნალური ხარჯები	(231,485)	(218,658)
კომპიუტერის ხარჯები	(15,154)	(19,293)
საბიუჯეტო გადასახადი	(94,201)	(191,395)

ჯამი

(3,464,923)

(3,094,538)

შპს "ჯეო-კოოპ"
თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. 2
www.coopoliva.ge
geo-coop@coopoliva.ge

GEO-COOP LLC
2, Aleksandre Tvalchrelidze Str Tblisi 0182, Georgia
www.coopoliva.ge
geo-coop@coopoliva.ge

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 17. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საიჯარო ქირა	(130,202)	(71,782)
საერთო დანიშნულების დაზღვევა		0
უიმედო ვალი		0
ცვეთა და ამორტიზაცია	(914,423)	(808,596)
საბანკო ხარჯები	(39,562)	(38,183)
დებიტორების გაიფასურება		(332,453)
ჯამი:	(1,084,188)	(1,251,014)

შენიშვნა 18. ფინანსური შემოსავლები/ხარჯები

	2024	2023
სხვა ფინანსური შემოსავლები	-	-
საპროცენტო ხარჯები-ჰამაიაკ არსენიანი	(228,564)	(288,531)
საპროცენტო ხარჯები-ბანკი	(255,264)	(298,730)
Total	(483,828)	(587,260)

შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 19. სხვა შემოსავლები/ხარჯები

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობა	815,692	1,301,013
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,324	1,864
საქონლის შემოსავალი		
ინვენტარიზაციით	22,659	31,937
საკურსო ზარალი	(1,078,992)	(1,474,302)
მი.საშუალების გადაფასების ზარალი	-	-
ძირ. საშუალების დანაკლისი	(28,941)	-
ძირ. საშუალების ზედმეტობა	-	-
ვალის კორექტირება	(304,842)	(177,557)
თვითღირებულების კორექცია		41,800
უიმედო ვალის აღდგენა	-	17,285
მი.საშუალების გაყიდვის ზარალი		(25,234)
Total	(573,099)	(283,194)

პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში შესაძლოა გაჩნდეს კომპანიის საწინაარმდეგო პრეტენზიები. საკუთარი შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება სასამართლო დავის გამო.

უწყვეტობა- ფუნქციონირებადი საწარმო

საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირება გარანტირებულია ანგარიშგების წარდგენიდან მინიმუმ 12 თვე. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმინებულია, რომ საწარმოს საქმიანობას ხელი არ შეეშლება და არც თავად გეგმავს საქმიანობაში ცვლილებებს აღნიშნული კუთხით. მით უფრო 2024 წელს კომპანიამ აჩვენა დადებითი ტენდენცია ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომ კომპანიაში და ასევე გარემო პირობებში არ მომხდარა რაიმე



შპს ჯეო კოოპის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

მნიშვნელოვანი შემთხვევა რაც სერიოზულ გავლენას მოახდენდა კონპანიის საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებაზე.